ი უ ბ ი ლ ე

პროფესორი როინ ქუტიძე – 70

როინ შოთას ძე ქუტიძე დაიბადა 1942 წლის 8 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში – დედა ნინო ბესარიონის ასული ელიაძე სამედიცინო დარგის აღიარებული მუშაკი, ჩინებული დიასახლისი და დიდი ოჯახის წინამძღოლ-მმართველი იყო. მამა – შოთა პლატონის ძე ქუტიძე, გამოჩენილი სამეურნეო და პარტიული მუშაკი იყო (1998 წელს ნაადრევად გარდაიცვალა), მან სანკტ-პეტერბურგში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მენიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. ბატონი შოთა გამოირჩეოდა პრინციპულობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით, თავისთავისა და სხვებისადმი დიდი მომთხოვნელობით, წარმოების ხელმძღვანელ-ორგანიზატორის საუკეთესო თვისებებით, მეგობრული სულითა და თანადგომით – ლხინსა თუ ჭირში ყოველთვის წინა პოზიციებზე იყო და უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს. ასეთ ოჯახში დაიბადნენ და გაიზარდნენ ძმა-დები ქუტიძეები, რომელთა შორის ჩვენმა იუბილარმა ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართული საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა 1959 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა და 1964 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1965-1970 წლებში იყო საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, უმცროსი მეცნიერთან-ამშრომელი, უფროსი მეცნიერთანამშრომელი. 1969 წელს წარმატებით დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1990 წელს კი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1991 წლიდან იგი პროფესორია.

პროფ. რ. ქუტიძე 1970 წლის სექტემბრიდან 2006 წლის სექტემბრამდე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, სადაც თანმიმდევრულად განვლო

გზა დოცენტის თანამდებობიდან დაწყებილი პროფესორის თანამდებობამდე. აღნიშნულ პერიოდში პროფ. რ. ქუტიძე – 1978-1985 წლებში იყო თსუ-ის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1998-2005 წლებში, ასევე თსუ-ის ეკონომიკური თეორიის საფუძვლების კათედრის გამგე. სწორედ აღნიშნულ თანამდებობებზე გამოვლინდა პროფ. რ. ქუტიძის მენეჯერულ-ორგანიზატორული უნარი და შესაძლებლობები, რაც გამოიხატა ფაკულტეტზე სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაღალი დონით, აგრეთვე იმით, რომ მისი თაოსნობით ფაკულტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მონათესავე ფაკულტეტების პროფესურასა და სტუდენტობასთან; ფართო ხასიათი მიიღო ლექტორებისა და სტუდენტთა ურთიერთგაცვლისა და ასევე ერთობლივი სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციების ჩატარების პრაქტიკამ, რაც მეტად ნაყოფიერი და ეფექტიანი გამოდგა. სწორედ ასეთი სანიმუშო მოღვაწეობისათვის პროფ. რ. ქუტიძემ 1998 წელს დაიმსახურა საქართველოს პრეზიდენტის მადლობის სიგელი.

პროფ. რ. ქუტიძის როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო საკვალიფიკაციო ნაშრომები მიძღვნილია ისეთი აქტუალური თემისადმი, როგორიცაა კვალიფიციური სამუშაო ძალის აღწარმოების თეორიულად ურთულესი და პრაქტიკულად საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი მრავალწახნაგოვანი პრობლემა. ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ პროფ. რ. ქუტიძემ თავისი 40-წლიანი სამეცნიერო მუშაობა არსებითად სწორედ აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა, წონად შედე-გებსაც მიაღწია და მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც ჩანს იქიდან, რომ მისი სამეცნიერო პუბლიკაციები არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო თუ რესპუბლიკური კონფერენციების მწვავე, მაგრამ ჯანსაღი მსჯელობის საგანი, რაც ჯეროვნადაა ფიქსირებული შესაბამისი კონფერენციების შემაჯამებელ დოკუმენტებში.

პროფ. რ. ქუტიძეს სულ გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან სამი

მონოგრაფიული გამოკვლევა, ხუთი კი — სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელოა. მათ შორის, თავის დროზე, განსაკუთრებული მოწონებითა და პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა სახელმძღვანელოს - „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები" (პირველი გამოცემის თანაავტორი პროფ. ირ. ქვაჩახია), რომელიც რამდენჯერმე გამოიცა საქართველოში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პოლიტიკის პოზიტიური და ნეგატიური მხარეების გათვალისწინებით.

მთლიანობაში, დიდია პროფ. რ. ქუტიძის დამსახურება სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში. იგი ამ სფეროს შესანიშნავად უძღვებოდა როგორც ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე და რიგითი ლექტორი. პროფ. რ. ქუტიძე ოცი წლის მანძილზე იყო თსუ-ს დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი და ამითაც თავისი წვლილი შეჰქონდა საუნივერსიტეტო საქმეთა წარმატებებში.

ხაზგასასმელია მისი მაღალი ადამიანური თვისებები: იგი როგორც მოქალაქე, სამშობლოს დიდი ქომაგი და პატრიოტია; გამორჩეული პიროვნება, საიმედო და ძვირფასი მეგობარია; ვერ იტანს პირმოთნეობას, სიცრუეს, გაუტანლობას; ოჯახის დიდი მოყვარული და დამფასებელია; დედასთან ერთად მისი ბურჯი და სიამაყეა ღირსეული მეუღლე; დები, სამი შვილი, რძლები, ათი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი...

პროფესორი რ. ქუტიძე ყველა ზემოაღნიშნული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

პროფესორი რ. ქუტიძე ოპტიმისტი პიროვნებაა — მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ჩვენი ქვეყანა სწორ გზას დაადგა. ქართველი ხალხი თავისი დიდებული ტრადიციებითა და სამომავლო მიზნების განხორციელებით მომავალშიც ღირსეულ წვლილს შეიტანს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის პრინციპების კათედრის გამგე,
ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი,

რევაზ გველესიანი
თსუ-ს ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი,

ავთანდილ სილაგაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ლეო ჩიქავა
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,

ნუგზარ პაიჭაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი,

რევაზ გოგოხია
ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარი რედაქტორი,
ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

ელენე ხარაბაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი,

ალექსანდრე სიჭინავა
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი

შოთა ვეშაპიძე
სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი